



ქ. თბილისი

„21“ მაისი 2015 წელი

ბრძანება № 01-19

რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტების, „სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2013 წლის 15 ოქტომბრის N 01/745 ბრძანებით (2015 წლის 13 იანვრის N01/77 ბრძანებით განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით) დამტკიცებული სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 21 მაისის №01/2015 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის „დ“ და „ე“ პუნქტების, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 21 მაისის N 2 დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გამოცხადდეს კონკურსი რექტორის თანამდებობის დასაკავებლად და განცხადება განთავსდეს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე **2015 წლის 21 მაისს**.
2. **რექტორის არჩევნები დაინიშნოს 2015 წლის 17 ივლისს**
3. რექტორობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს **2015 წლის 21 ივნისიდან - 8 ივლისის ჩათვლით - 17 საათამდე**.
4. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ყოველდღე გარდა კვირისა, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის მიერ **10 საათიდან 17 საათამდე**. (რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტების ნუსხა იხილეთ დანართი 1)

მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის N 49, პირველი სართული ოთახი 116.

რექტორის მ/შ,
პროფესორი



ჯემალ მაგანია

დანართი1

კანდიდატმა სარეგისტრაციოდ უნდა წარადგინოს:

- ა) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლი;
- ბ) სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლი;
- გ) უნივერსიტეტის განვითარების სამოქმედო გეგმა;
- დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლი;
- ე) ავტობიოგრაფია (CV);
- ვ) 2 ფერადი ფოტოსურათი, ზომით 3X4-ზე;
- ზ) ცნობა ნასამართლეობის შესახებ;
- თ) ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ.